მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N5
28 თებერვალი 2025 წ.

დაბა მესტია

„მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „.მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2017, სარეგისტრაციო კოდი:(9210020010.35.103.016259)

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის, მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1.მოსაკრებლის გადახდა წარმოებს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე 200122900, სახაზინო კოდი 300413189. ქვითრის ან ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებით.

2.ქვითრის ტიპურ ფორმას ამტკიცებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომლის სავალდებულო რეკვიზიტებია (დანართი №3):

ა) მოსაკრებლის გადამხდელის მონაცემები;

ბ) დაწესებულების კატეგორიიდან გამომდინარე ზომის ერთეული ($მ^2$), სკამი, ლოგინი, დასაქმებული, მოსწავლე და ა.შ.);

გ) ერთეულის მთლიანი რაოდენობა;

დ) გადასახდელი თანხა;

ე) დარჩენილი გადასახადი;

ვ) კრედიტი.

3.გადამხდელს შეუძლია გადასახადი გადაიხადოს წინასწარ.

4.წინამდებარე დადგენილება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის ამოქმედდეს მომსახურების გაჩენის მომენტიდან.

5.მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე და სხვა ნებისმიერი სახის ობიექტებიდან და ასევე დაწესებულებებიდან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განისაზღვროს ნარჩენების წარმოქმნის ადგილსა და საბოლოო განთავსების ადგილს შორის მანძილის

მიხედვით. ერთი კილომეტრის მანძილზე მომსახურების ღირებულების მინიმალური ზღვარი შეადგენს 1.50 ლარს (ერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი). აღნიშნული მომსახურების საფასური შესაძლებელია გაიზარდოს მომსახურების სირთულიდან გამომდინარე და ეხება მხოლოდ იმ ტერიტორიებს, სადაც დასუფთავების მომსახურების სერვისი არ მიეწოდება.

6.მოსახლეობაში გადასახადი დაწესდეს ნაგვის კონტეინერიდან არაუმეტეს 100 მეტრის მანძილზე მდებარე კომლებისათვის.

7. სამშენებლო ნარჩენებზე მომსახურების ტარიფი განისაზღვროს გადაზიდული ნარჩენების რაოდენობით დაბის ტერიტორიაზე 1მ^3 ნარჩენზე 30 ლარი, განთავსების გადასახადი 1მ^3 ნარჩენზე -10 ლარი.”

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-12 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

12	ბენზინგასამართი სადგურები, ავტოსამრეცხაოები (სამუშაო ფართის შესაბამისად)	1მ^2	1,2	10	2.00

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**